საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/91 "12" თებერვალი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ხმის მიცემა (ეთანხმება, ეთანხმება შენიშვნით, არ ეთანხმება), გარდა ფარული კენჭისყრის შემთხვევისა, ფიქსირდება შეთანხმების ფურცელზე ხელმოწერით.“;

ბ) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას (გარდა გადაწყვეტილების ფარული კენჭისყრით მიღების შემთხვევისა) თან უნდა დაერთოს მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების ფურცელი.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი